საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 23 00974434

06/04/2023

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსს **ზურაბ წიქვაძეს**

ბატონო **ზურაბ,**

2023 წლის 5 აპრილის № 6/18788 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ. N2/კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა N2-ში მდებარე უძრავ ქონებაში განთავსებული 305.90 კვ.მ. შიდა ფართის (ს/კ 01.16.06.042.003.01.502) პრივატიზების საკითხს გაცნობებთ, რომ ჩვენი სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა მითითებული ტერიტორია, აგრეთვე მოძიებული იქნა მასალები, მათ შორის საარქივო, რის შედეგადაც დადგინდა, რომ არსებულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა ნაგებობა წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების ობიექტს - თავშესაფარს.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თავშესაფარი წარმოადგენს დამცავ ნაგებობას, რომელიც საგანგებო სიტუაციის ან საომარი მოქმედებების დროს, გარკვეულ პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორისაგან ადამიანის დასაცავად. ამავე კანონის მიხედვით თავშესაფრის მოვლა-პატრონობას და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას უზრუნველყოფენ ქონების მფლობელობის, განკარგვის ან/და ამ ქონებით სარგებლობის უფლებამოსილების მქონე პირები.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ თავშესაფარი შეიძლება იყოს ორმაგი დანიშნულების. კერძოდ, მშვიდობიან პერიოდში იგი შეიძლება ასრულებდეს სხვა დანიშნულებასაც, იმ პირობით, რომ 12 საათის განმავლობაში შესაძლებელი იყოს მისი თავშესაფრად გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწისქვეშა ნაგებობის პრივატიზების ან იჯარის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, უნდა მოხდეს არსებული თავშესაფრისათვის თვისობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და მისთვის პროფილის შეცვლა დაუშვებელია.

პატივისცემით,

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური
სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
მელქაძე თეიმურაზ